



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

ადელუნგი (Adelung) იოჰან

ადელუნგი (Adelung) იოჰან კრისტოფ (8. VIII. 1732 – 10. IX. 1806), გერმანელი მეცნიერი, გრამატიკოსი, ლექსიკოგრაფი.

სახელი გაითქვა შრომებით „გერმანული ენის დაწვრილებითი სახელმძღვანელო“ (ტ. 1-2, 1782) და „გერმანული დიალექტის სრული გრამატიკულ-კრიტიკული ლექსიკონი“ (ტ. 5, 1774-86). ი. ს. ფატერთან ერთად შეადგინა კრებ. „მითრიდატე ანუ საზოგადო ენათმცოდნეობა...“ ეს არის ცნობები მსოფლიოს ენათა შესახებ. I ტომში წარმოდგენილია ცნობები აზიის ენებზე. აქვეა ქართ. ენის მოკლე დახასიათება. ა. ცაგარლის სწორი ვარაუდით, ა-ს გამოუყენებია ფრანჩესკო მაჭოს „ქართული ენის გრამატიკა“ (რომი, 1670). ზოგი ფაქტის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მას სხვა ცნობებიც პქონია ქართ. ენის შესახებ.

ა. ქართულის შემდეგ თვისებებს ჩამოთვლის: ქართული განეკუთვნება მთის ენებს; აქვს 37 ბგერა, აქედან 10 არის შიშინა, 9 – ხორხისმიერი; დამახასიათებელია მაგარი თანხმოვნების თავმოყრა; არა აქვს ნაწევარი, სიტყვების წარმოება ხდება პრეფიქსებითა და სუფიქსებით, სახელი არ განარჩევს სქესს; ბრუნება მარტივია, აქვს 6 ბრუნვა; სახელთა მრ. რიცხვი იწარმოება -ბი, -იბი, -ები სუფიქსებით; ზედსართავ სახელს აქვს შედარებითი (მანარმოებელი -სი) და აღმატებითი („სულა“ სიტყვის მიმატებით დადებითი ხარისხის ფორმაზე) ხარისხის ფორმები; ნაცვალსახელები წარმოდგენილია სრულად; აქვს უღლების 4 სახეობა, მაგრამ თითქმის ყველა 8მნა თავისებურია. ვნებითის ფორმები პერიფრასტულია; თხრობითის კილოს 6 დრო აქვს; ჩვეულებრივი ნამყოს გარდა კიდევ ორი წარსული დროა; უღლებისას 8მნები იცვლება პირთა მიხედვით, ამავე დროს ნაცვალსახელებსაც ირთავენ წინ; ასასიათებს წინდებულთა სიმცირე და თანდებულთა

სიმრავლე; არა აქვს მუდმივი ადგილის მქონე მახვილი: იგი შეიძლება ეცემოდეს ბოლო მარცვალს ან ბოლოდან მეორეს, ან ბოლოდან მესამე ხმოვანს. მრავალი უზუსტობის მიუხედავად, ქართ. ენის ზოგიერთი თავისებურება ა-ის მიერ დიდი ლინგვისტური აღღოთია გამოვლენილი.

ლიტ.: რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი შ., ქართული ლიტერატურის გერმანელი მკვლევარები, «ცისკარი», 1969, № 5; ც ა გ ა რ ე ლ ი ა., О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873.

თ. უთურგაძე
